ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №19

18.11.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, შოთა გრიგოლია, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **პაატა ტოგონიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფორისის მოვალეობის შემსრულებელი;
3. **ლევან მდივნიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **ვახტანგ ნოზაძე** - შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ დირექტორი;
5. **დავით ფაჩულია** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი;
6. **ბექა გოგილიძე** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საფინანსო განყოფილების უფროსი;
7. **ირინე დანელია** - ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი;
8. **გიორგი ნაცვალაძე** - ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საფინანასო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი;
9. **ზურაბ გურიელიძე** - ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორი;
10. **პაატა ბედიაშვილი** - ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 15 ნოემბრის №12-032231961-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 15 ნოემბრის №12-032231961-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 438 775 200 (ერთი მილიარდ ოთხას ოცდათვრამეტი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათას ორასი) ლარით, რაც 2021 წლის №4-7 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტთან“ (1 305 418 200 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 133 357 000 (ას ოცდაცამეტი მილიონ სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1) **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - დაფინანსების

ოდენობა: - 415 096 400 ლარი;

2) **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - დაფინანსების ოდენობა: 223 813 700 ლარი;

3) **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - დაფინანსების ოდენობა: 169 251 700 ლარი;

4) **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - დაფინანსების ოდენობა: 1 879 500 ლარი;

5) **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - დაფინანსების ოდენობა: 38 696 300 ლარი;

6) **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - დაფინანსების ოდენობა: დაფინანსების ოდენობა: 144 160 700 ლარი;

7) **განათლება** - დაფინანსების ოდენობა: 224 917 800 ლარი;

8) **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - დაფინანსების ოდენობა: 43 031 400 ლარი;

9) **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - დაფინანსების ოდენობა: 6 436 800 ლარი;

10) **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - დაფინანსების ოდენობა: 171 490 900 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის **შემოსავლების საპროგნოზო** მაჩვენებელი განისაზღვრა 1 383 675 200 ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 838 867 600 ლარი დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 588 867 600 ლარს (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 40 998 200 ლარით). საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 208 000 000 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 34 000 000 ლარით); ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 26 000 000 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 6 000 000 ლარით); მიწაზე ქონების გადასახადი 16 000 000 ლარი.

გრანტები 314 962 200 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 45 957 200 ლარით).

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407 200 ლარი (შორის 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ);
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555 000 ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 270 000 000 ლარი.

- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 44 000 000 ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 7 000 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000 000 ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 9 000 000 ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 20 000 000 ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000 000).

სხვა შემოსავლები 229 845 400 ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 11 284 800 ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000 000 ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000 000 ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 67 000 000 ლარი;

- სხვადასხვა შემოსავლები – 26 560 600 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 438 775 200 ლარს. მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 154 820 100 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 98 465 600 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 170 334 100 ლარი, პროცენტი 20 583 000 ლარი, სუბსიდიები 590 300 200 ლარი, გრანტები 471 500 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 136 053 300 ლარი, სხვა ხარჯები 138 613 600 ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით **არაფინანსური აქტივების ცვლილება** შეადგენს 190 610 700 ათას ლარს, მათ შორის:

– არაფინანსური აქტივების ზრდა – 245 610 700 ლარი.

– არაფინანსური აქტივების კლება – 55 000 000 ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000 000 ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილება 100 000 ლარი;

– ფინანსური აქტივების კლება – 100 000 ლარი.

2023 წლისათვის **ვალდებულებების ცვლილება** 38 344 400 ლარია, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2023 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **მთლიანი სალდო** განისაზღვრა 38 244 400 ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

კომისიის სხდომაზე, კომისიის კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ პრიორიტეტებზე, პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** (კოდი: 03), რომლის დაფინანსების ოდენობაც, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია **169 251 700** ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებასთან მიმართებაში (**167 317 100** ლარი), გაზრდილია 1 934 600 ლარით.

პრიორიტეტის ფარგლებში:

- **გამწვანების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 01)** გათვალისწინებულია **53 801 300** ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **გამწვანების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**83 931 100** ლარი), **შემცირებულია** 30 129 800 ლარით;
- **დასუფთავების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 02)** გათვალისწინებულია 107 000 000 ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **დასუფთავების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**75 500 000** ლარი), გაზრდილია 31 500 000 ლარით;
- **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 03 03 01)** გათვალისწინებულია 4 308 600 ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (**4 600 000** ლარი), შემცირებულია 291 400 ლარით;
- **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 03 03 02)** გათვალისწინებულია 4 141 800 ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ დაფინანსებასთან მიმართებაში (3 286 000 ლარი), გაზრდილია 855 800 ლარით.

2. **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 09 02)** გათვალისწინებულია 4 619 700 ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამისთვის** გამოყოფილ ასიგნებასთან მიმართებაში (4 350 700 ლარი), გაზრდილია 269 000 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

გ-ნმა ვ. სურგულაძემ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში,წლის გამწვანებისა (კოდი: 03 01) და დასუფთავების (კოდი: 03 02) ღონისძიებების, ასევე, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფინანსების თაობაზე.

ქ-ნმა ს. კობალაძემ - ცხოველთა მონიტორინგის საქმიანობისა და დაფინანსების შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხეს: მომხსენებელმა ლ. მიქავამ, დ. ფაჩულიამ (შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი) და ვ. ნოზაძემ (შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ დირექტორი).

აზრი გამოთქვეს:

გ-ნმა ვ. სურგულაძემ - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობის შესახებ.

გ-ნმა დ. ფაჩულიამ - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2022 წლის ბიუჯეტის გეგმის, სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობისა და ასევე, 2023 წლის ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

გ-ნმა ვ. ნოზაძემ - შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ 2023 წლის ბიუჯეტის, განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

გ-ნმა ნ. კახეთელიძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№4-7 დადგენილება 27.12.2021წ.) შედარებით, წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის საბიუჯეტო დაფინანსება, საერთო ჯამში, გაზრდილია, რაც მისასალმებელი და მხარდასაჭერია, მაგრამ დაგეგმილი პროექტების განსახორიელებლად, მიზანშეწონილია, 2023 წლის ბიუჯეტით, გამწვანების ღონისძიებების დაფინანსება (კოდი: 03 01) შენარჩუნდეს 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან გამწვანების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნების მაჩვენებელთან (83 931 100 ლარი) მიმართებაში.

აღნიშნული დაფინანსების მოცულობის შენარჩუნება ხელს შეუწყობს დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, თბილისის მწვანე საფარის გაზრდას; არსებული ბაღ-სკვერების რეაბილიტაციასა და ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას; არსებული ბაღ-სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდას და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია, 2023 წლის (საბიუჯეტო წლის) განმავლობაში, საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებისა და გაწეული ეკონომიის ხარჯზე, გამწვანების ღონისძიებების დაფინანსების გაზრდა დასახული პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ თბილისის ზოოპარკის საქმიანობასა და დაფინანსებაზე, კერძოდ, ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 143 საშტატო ერთეულს, რომელთა უმრავლესობაც (დაახლოებით 112 თანამშრომელი) წარმოადგენს დაბალი რანგის თანამშრომელს და მათი ხელფასის ოდენობა (ხელზე ასაღები) 450-იდან 900 ლარის შუალედშია. მათ უმრავლესობას პირდაპირ თუ ირიბად უწევს გარეულ ცხოველებთან შეხება (ცხოველის მომვლელები, ვეტერინარები, დაცვის თანამშრომლები, მუშები და მეეზოვეები), რაც თითქმის უწყვეტ (24 საათიან) რეჟიმში მძიმე ფიზიკური შრომის გარდა, ასევე სახიფათოცაა და მეტად საპასუხისმგებლოც. ამ კატეგორიის თანამშრომლებს, მათი საქმიანობის გათვალისწინებით, დაბალი ანაზღაურება აქვთ და ხშირია კადრების გადინება, რაც ზოოპარკისთვის ძალიან პრობლემური საკითხია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზოოპარკის თანამშრომელთა წახალისებისა და კადრების დენადობის თავიდან აცილების მიზნით, პრიორიტეტულია სახელფასო დანამატისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისათვის საჭირო დაფინანსების ასახვა 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 01) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას **200 000 ლარი** (თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა **სახელფასო დანამატის** გასაცემად 100 000 ლარი და **ზეგანაკვეთური სამუშაოს ასანაზღაურებლად** - 100 000 ლარი).

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, დამატებით ისაუბრა თბილისის ზოოლოგიური პარკის მიღწევების შესახებ და აღნიშნა, რომ თბილისის ზოოლოგიური პარკი, 2022 წელს, „ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციის" (ეაზა - EAZA) სრულუფლებიანი წევრი გახდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არამარტო დედაქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით, არამედ ამიერკავკასიის რეგიონში თბილისის ზოოლოგიური პარკის დიდ მნიშვნელობასა და ზოოლოგიური პარკის თანამშრომლების მაღალ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას. შესაბამისად, საერთაშორისო მნიშვნელობის მასშტაბების გათვალისწინებით, პრიორიტეტულია ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხითაც.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, ასევე ისაუბრა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საქმიანობის, ბოტანიკური ბაღის პრობლემებისა და დაფინანსების თაობაზე. მისი განმარტებით, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ამიერკავკასიაში პირველი და მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ბოტანიკური დაწესებულებაა და ატარებს ისტორიულ-კულტურული ძეგლის სტატუსს.

უკანასკნელ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია და მისი ინფრასტრუქტურის გაჯანსაღება თანამედროვე საზოგადოებრივი და სამეცნიერო-კვლევითი მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგრამ ბაღისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე პრობლემური

უბანი, რაც საფრთხისშემცველს ხდის ვიზიტორთა და თანამშრომელთა გადაადგილებას, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მაღალი რისკის ქვეშ აყენებს და, ასევე, საგრძნობლად აფერხებს ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. კერძოდ:

- ბაღის ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი სამარშრუტო გზის მიმდებარედ არსებული კლდოვანი ფერდობის მაღალი დახრილობის, მისი ამგები კლდოვანი ქანების ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს ცალკეული ქვათაცვენისა და კლდეზვავის წარმოქმნა-გააქტიურების მაღალი რისკი.

  აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, მთავარი სამარშრუტო გზის მიმდებარედ არსებული კლდოვანი ფერდის (საერთო ფართობი: 1 ჰა) პერმანენტული ჩამოწმენდა, მასზე არსებული ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობისა და მოჭრის სამუშაოების შესრულება.

- ისტორიული არბორეტრუმის საფეხმავლო ბილიკი (1200 გრძივი მეტრი) საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას;

- „ქართლის დედის" მიმდებარედ, ბაღის საკადასტრო საზღვრებში არსებული პანორამული გადასახედის ინფრასტრუქტურის განახლება, კერძოდ ჩამოშლილი მოაჯირის კედლის გადაუდებელი რეაბილიტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

- ბოტანიკურ ბაღში არსებული 5 ხიდის ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ მარშრუტთან, მდ. წავკისისწყალზე (მწვანე და ძველი ხიდები) და ასევე, ჩანჩქერთან არსებული ე.წ. „თეთრი ხიდი"-ს ტექნიკური მდგომარეობა წლების განმავლობაში არ შემოწმებულა. საექსპლუატაციო სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული ხიდები საჭიროებს ექსპერტთა შესაბამის შემოწმებას, შემდგომში, მათი მოვლა-პატრონობის და ექსპლუატაციის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით.

- მთავარი ტურისტული მარშრუტის მიმდებარე ქვის ყორის გამაგრებითი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელება, რადგან ქვის ყორე დაშლის პროცესშია და ინტენსიურად მიმდინარეობს ქვათაცვენა;

  - ცენტრალურ შემოსასვლელთან და ლეღვთახევის მხარეს, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე რამდენიმე კლდოვანი ფერდობის (ფერდობებზე გაჩენილი ნაპრალებისა და ქვათაცვენის გამო) კვლევა და გამაგრებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საფრთხისშემცველი, სარეაბილიტაციო უბნების საინჟინრო-ტექნიკური კვლევის, ასევე, კვლევის შემდეგ, საჭირო გამაგრებითი სამუშაოებისა და აღნიშნულ უბნებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის საჭირო **დაფინანსება (სავარაუდო ღირებულების ოდენობა 1 020 000 ლარი).**

დაბოლოს, ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე შეეხო სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობას, პრობლემებსა და საჭიროებებს.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფები სადღეღამისო რეჟიმში მორიგეობენ, რომლებსაც მოქალაქეთა შეტყობინების ან სხვა გზით მიღებულ გამოძახებებზე უწევთ სწრაფი რეაგირება, გამოძახების ადგილზე გასვლა ცხოველების დაჭერის და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომლების მიერ ტარდება სამაშველო ღონისძიებებიც. შესაბამისად, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სწრაფი რეაგირების ჯგუფების უწყვეტ (24 საათიან) რეჟიმში მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის საჭიროა ავტოპარკის განახლება-შევსება შესაბამისი ახალი ავტომობილებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრისთვის, აუცილებელია მცირე ზომის სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობა სხვადასხვა აღჭურვილობისა და მასალის შესანახად და ასევე, დედაქალაქის ტერიტორიაზე სააგენტოს თანამშრომელთა მიერ დაჭერილი ქვეწარმავლების დროებით განსათავსებლად ტერატორიუმის მოწყობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამისთვის (კოდი: 09 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას 150 000 ლარი (ოპერატიული ეკიპაჟისთვის დამატებით **ორი ერთეული ახალი მანქანის შესყიდვისთვის** - 100 000 ლარი და მცირე ზომის სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის - 50 000 ლარი).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში“, შესაძლებლობის ფარგლებში:
   1) **შენარჩუნებულ იქნას** გამწვანების ღონისძიებების დაფინანსება (კოდი: 03 01) 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **გამწვანების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილი ასიგნების მაჩვენებელთან (**83 931 100** ლარი) მიმართებაში.
   2) **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 01)** დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას **200 000 ლარი** (თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა **სახელფასო დანამატის** გასაცემად 100 000 ლარი და **ზეგანაკვეთური სამუშაოს ასანაზღაურებლად** 100 000 ლარი).
   3) **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას** ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საფრთხისშემცველი, სარეაბილიტაციო უბნების საინჟინრო-ტექნიკური კვლევის, ასევე, კვლევის შემდეგ, საჭირო გამაგრებითი სამუშაოებისა და აღნიშნულ უბნებზე არსებული

ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის საჭირო **დაფინანსება (სავარაუდო ღირებულების ოდენობა 1 020 000 ლარი).**

4) **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამის** (კოდი: 09 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას 150 000 ლარი (ოპერატიული ეკიპაჟისთვის დამატებით **ორი ერთეული ახალი მანქანის შესყიდვისთვის** - 100 000 ლარი და მცირე ზომის სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის - 50 000 ლარი).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის“ პროექტთან (№12-032231961-03 წერილი; 15.11.2022წ.) დაკავშირებით კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებები (შენიშვნები), შემდგომი განხილვისთვის გაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

3. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში“, შესაძლებლობის ფარგლებში:

5) **შენარჩუნებულ იქნას** გამწვანების ღონისძიებების დაფინანსება (კოდი: 03 01) 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **გამწვანების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილი ასიგნების მაჩვენებელთან (**83 931 100** ლარი) მიმართებაში.

6) **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 01)** დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას **200 000 ლარი** (თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა **სახელფასო დანამატის** გასაცემად 100 000 ლარი და **ზეგანაკვეთური სამუშაოს ასანაზღაურებლად** 100 000 ლარი).

7) **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას** ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საფრთხისშემცველი, სარეაბილიტაციო უბნების საინჟინრო-ტექნიკური კვლევის, ასევე, კვლევის შემდეგ, საჭირო გამაგრებითი სამუშაოებისა და აღნიშნულ უბნებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის საჭირო **დაფინანსება (სავარაუდო ღირებულების ოდენობა 1 020 000 ლარი).**

8) **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამის** (კოდი: 09 02) დაფინანსების ფარგლებში,

2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას 150 000 ლარი (ოპერატიული ეკიპაჟისთვის დამატებით **ორი ერთეული ახალი მანქანის შესყიდვისთვის** - 100 000 ლარი და მცირე ზომის სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის - 50 000 ლარი).

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის“ პროექტთან (№12-032231961-03 წერილი; 15.11.2022წ.) დაკავშირებით კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებები (შენიშვნები), შემდგომი განხილვისთვის გაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე